ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2165714

ნომერი: AR1337982

თარიღი : 27.08.2015

გაცემის თარიღი : 02.09.2015

გაცნობის თარიღი : 02.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჭიაბერი ხოსიაური პ/ნ 01013012159
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 2"ბ" ბ. 46

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2015 წლის 27 აგვისტოს #AR1337982 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში საკადასტრო გეგმით #01.72.14.037.095 მიწის ნაკვეთზე უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება #2138948) ცვლილების შეტანას კერძოდ: დასმული განაშენიანების 11.2 მეტრიანი სავალდებულო ლურჯი ხაზის შემცირებას 9.8 მეტრამდე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ დამუშავებული „ჩარჩო გეგმის“ საფუძველზე გეგმარებითი სტრუქტურის შესანარჩუნებლად, რომ არ დაირღვეს შენობათა განთავსების არეალები დადგინდა განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) და განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზები, რომელსაც დადებითი გადაწყვეტილება მისცა „ქ. თბილისი ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–მ. აღნიშნული გადაწყვეტის მიზანი არის ტერიტორიის სისტემურად დაგეგმარებული, ჩამოყალიბებული სახით განვითარება. გამომდინარე აქედან, აღნიშნული სავალდებულო (ლურჯი) ხაზის გაუმება ან მისი ცვლილება გადატანით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ვინაიდან ეწინააღმდეგება ქალათქმშენებლობითი დოკუმენტით ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების დადგენილ პრინციპებსა და პრიორიტეტებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge